

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების
შემსწავლელი ცენტრის
2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიში

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის პრიორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების ბუნებრივი (მიწის, წყლის, ტყის, სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, ბუნებრივ-რეკრეაციული და ტურისტული), აგრეთვე ადამიანური რესურსების შესწავლა, ანალიზი, შეფასება და მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით.

საანგარიშო წელს დამუშავებულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის და მისი შემოგარენის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენების პრობლემები. სამუშაოში წარმოდგენილია თბილისისა და მის შემოგარენში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ტყისა და მწვანე ნარგაობის, სასარგებლო წიაღისეულის, ჰიდრო, მზისა და ქარის, გეოთერმული წყლების, ენერგეტიკული რესურსების, ბუნებრივ-რეკრეაციული, ტურისტული და ადამიანური რესურსების თანამედროვე მდგომარეობის კვლევის შედეგები ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად და განსაზღვრულია მათი რაციონალური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები

მონოგრაფიები

1. ჟორდანია ირ., ურუშაძე თ., მაღალაშვილი გ, ფარესიშვილი ო., ჩიქავა ლ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მირიანაშვილი ნ., მაჭავარიანი ჯ., მახარაძე ქ., სულაძე ა., კვარაცხელია ლ. და სხვ. თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები. თბილისი, 340 გვ. 2012.

2.

. . . , 2012. 334 .

3. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. გამომც. “უნივერსალი”. 320 გვ. 2012.

სტატიები

1. ჟორდანია ირ., ქევხიშვილი გ. და სხვ. უსხმულო გლინვის აგრეგატის კრისტალიზაციის ჩამკეტი ფილების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება. მეცნიერება და კულტურა №1, თბილისი, 2012, 7გვ.

2. ჟორდანია ირ., ქევხიშვილი გ. და სხვ. უსხმულო გლინვის პროცესის ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრების ურთიერთკავშირის განსაზღვრა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე №12, თბილისი, 2012, 11გვ.

3. ჩიქავა ლ. მწვავე დემოგრაფიული ვითარება რაჭაში და მისი ნორმალიზების გზები. კრებ. რაჭა: წარსული, აწმყო, მომავალი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემების კომპლექსური შესწავლის კომისია. თბილისი, 2012, გვ. 53-74.

4. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები. საქართველოს ეკონომიკა. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, გვ. 93-101.

5. ჩიქავა ლ. უმუშევრობის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში (საქართველოს მაგალითზე). საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი “მოამბე”. VI-VII, თბილისი, 2012.

6. ჩიქავა ლ. საარსებო მინიმუმი და რაციონალური სამომხმარებლო კალათა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. X, თბილისი, 2012, გვ. 5-14.

7. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული ვითარება მცხეთა-მთიანეთში და მისი სრულყოფის გზები. მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემების კომპლექსური შესწავლის კომისია. თბილისი, 2012.

8. Urushadze T, Andronikashvili T., Kordzahia T, Eprikashvili L. To certain features of the influence of organic-zeolitic fertilizers on character of development of plants – annals of Agrarian Science, vol.10, №3, 2012, PP. 22-29.

9. ურუშაძე თ., ქვრივიშვილი თ., სანაძე ე., კახაძე რ. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კამბისოლების თავისებურებანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 30, თბილისი, 2012, გვ. 177-182.

10. ,, ,, ,, ,, .
 .
 , XII, II, , 2012. . 619-622.

თეზისები ევროპის ნიადაგმცოდნეთა კონგრესზე (11-13), ბარი, იტალია, ივნისი 2012.

11. Urushadze T., Hanauer T., Steffens D., Schmell S. Felix P. and oth. Henningsen-Properties of kastanozems and treir potential for heavy metals Fixation in the Mashavera velley, south of Tbilisi (Georgia).

12. Urushadze T., Kvrivishvili T., Matchavariani L., Sanadze E and oth. Experience of the remediation of soils polluted by heavy metals in irrigation district in South Georgia.

13. Urushadze T., Navrozashvili L., Hanauer T., Steffens D., Schmell S., Wichmann I and oth. Transfer of Cd, Cu and Zn from soil into food crops in the Mashavera valley. Georgia

14. „ . -
(). , 2012. (საერთაშორისო კონფერენციის თეზისები)

15. მაღალაშვილი გ. ნავთობის წარმოქმნის კიდევ ერთი შესაძლო მოდელის შესახებ. საქართველოს ნავთობი და გაზი №27, თბილისი, 2012, გვ. 27-35.

16. მაღალაშვილი გ. ფილების ტექტონიკის როლი ნახშირწყალბადების მსხვილი და უნიკალური საბადოების ფორმირებასი კავკასიის მაგალითზე. საქართველოს ნავთობი და გაზი №27, თბილისი, 2012, გვ. 36-44.

17. მირიანაშვილი ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. ქარის ენერგორესურსების გამოყენების მასშტაბები საქართველოში. სტუ-ს დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2012, გვ. 308-311.

18. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მირიანაშვილი ნ. არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების ათვისების პერსპექტივები ენერგოდამზოგო ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს ზღვისპირეთში. სტუ-ს დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2012, გვ. 157-159.

სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემასწავლელი ცენტრი

ცხრილი 1

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი	რაოდენობა	შენიშვნა
გამოგონება	–	
პატენტი	–	
მონოგრაფია	3	
სახელმძღვანელო	–	
სტატია	14	
კონფერენცია (თეზისები)	6	მ.შ. 2 მოხსენება

ინფორმაცია კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის შესახებ

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (იხ. შრომების სია);

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის “ტყიბული-შაორის საბადოს ნახშირის ფენებიდან მეთანის მოპოვების პერსპექტივების შეფასება” შესრულებაში, შესრულების ვადა 2010-2012 წწ. შემსრულებელი ა.სულაძე.

ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ოთხი სამეცნიერო მოხსენება აქტუალურ პრობლემებზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომისათვის აკადემიის წევრ-კორ. ლ.ჩიქავას მიანიჭა ფილიპე გოგიჩაიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია და გადასცა ლაურეატის დიპლომი.

მიღებული შედეგების რეზიუმე

შემუშავებულია ძირითადი დასკვნები და წინადადებები თბილისისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების საკითხების ეფექტური გადაწყვეტისათვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია დედაქალაქში საწარმოო ძალების მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით.

შემოთავაზებული მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება დაეხმარება დედაქალაქის მერიას, ურბანული დაგეგმვისა და სხვა დარგის სპეციალისტებს, თბილისისა და მისი შემოგარენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში; სარგებლობას მოუტანს აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების მკვლევარ-მეცნიერებს, სპეციალისტებს, ბიზნესმენებს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებს და დოქტორანტებს, აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს.